სამყაროს შემეცნება 2



Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi ***Üzeyir Hacıbəylinin,***
sözləri ***Əhməd Cavadındır.***

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

აიბენიზ იბრაჰიმოვა
გულერ მეჰდიევა
სამედდინ იბრაჰიმოვი

სამყაროს შემეცნება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-2 კლასისათვის
"სამყაროს შემეცნების" საგნის
სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს 19.06.2009 წლის
№734-ე ბრძანებით.

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო-2016

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე ამ გამოცემის ან მისი რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა, ასლის გადაღება, ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია.

გამომცემლობა «Aspoliqraf LTD»

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ aspoligraf.ltd@gmail.com და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!



ოჯახში და სკოლაში

- ისევ სკოლაში
- გზაზე და ტრანსპორტში
- ოჯახში
- ქცევის კულტურა
- დღის რეჟიმი

ჯანმრთელი ცხოვრება

- რა არის ჯანმრთელობა?
- ჯანმრთელად ყოფნის გზები
- როგორ უნდა დავიცვათ თავი ვადამდები დაავადებებისაგან?
- საფრთხეებისაგან თავის დაცვა ყველას უნდა შეეძლოს

თემა 1

ისევ სკოლაში

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ძალიან მიხარია, რადგან ჩემს კლასელ ამხანაგებს და მასწავლებლებს კვლავ ვხვდები.

მე ამ სამ თვეში საკმაოდ გავიზარდე. სიმაღლეში საკმაოდ მოვიმატე. პირველ კლასში სწავლისას ბევრი რამ მეძნელებოდა,მაგრამ ამჟამად იგივე საქმეებს ადვილად ვასრულებ. უკვე ლოგინისა და სუფრის ალაგება შემიძლია.

მეორე კლასში ჩემი ცოდნა და უნარები ცოტაც მოიმატებს, რადგან ახალ სასწავლო წელში უფრო ბეჯითად უნდა ვიმეცადინო. გაკვეთილებზე უფრო აქტიური ვიქნები.

ბავშვობაში შესწავლილი
მეცნიერება ქვაზე
ნაწერის მსგავსია.

მუჰამმედ
მოციქული

პირველი სასწავლო დღე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში აღინიშნება როგორც ცოდნის დღე.

თემა 1

ეს ჩვენი საკლასო ოთახია. ჩვენი საკლასო ოთახიც ჩვენი სახლივით ძალიან სუფთაა, რადგან ჩვენ სკოლა ძალიან გვიყვარს. ძირს ნაგავს არ ვყრით, მერხების ზედაპირზე არ ვჩხაპნით. ჩანთა და სასკოლო ფორმა ყოველთვის აკურატულად გვაქვს. ამხანაგებს კარგად ვეპყრობით. შრომა გვიყვარს, ჩვენზე პატარებს არ ვაწუხებთ. სკოლის შინაგანაწესს ვიცავთ. ამიტომაც ჩვენი მშობლები და მასწავლებლები ჩვენით კმაყოფილები რჩებიან.

1) სკოლის შინაგანაწესის წესების შესრულება რისთვის არის მნიშვნელოვანი?
2) შენ სკოლაში როგორ იქცევი? რვეულში ჩაწერე.

თემა 2

გზაზე და ტრანსპორტში

დღის ერთი ნაწილი სახლში,ერთი ნაწილი სკოლაში,ერთი ნაწილი კი გზაზე ვიმყოფებით. გზებს ჩვენ სხვადასხვა მისამართებზე მივყავართ.გზები ადვილი და უსაფრთხო უნდა იყოს. ჩვენც საგზაო მოძრაობის წესები უნდა ვიცოდეთ და ამ წესებს უნდა ვასრულებდეთ. ტროტუარზე უნდა ვიაროთ.

ორმხრივ მოძრაობიან გზაზე გადასვლისას, ჯერ მარცხნივ უნდა გავიხედოთ.



შუა გზაზე მიღწევისას, შუა ხაზზე უნდა გავჩერდეთ, შემდეგ კი მარჯვნივ უნდა გავიხედოთ, უნდა დავრწმუნდეთ რომ ავტომობილი არ გვიახლოვდება. ამის შემდეგ გზაზე გადასვლა შეიძლება.



მიწისზედა გადასასვლელის ნიშანი

მიწისქვეშა გადასასვლელის ნიშანი

იქ სადაც არის მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები ისინი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. შუქნიშნის ფერებს ჩვენთვის რისი თქმა უნდათ ზეპირად უნდა ვიცოდეთ. აკრძალულ ადგილებში ველოსიპედი არ უნდა ვატაროთ, გზა სირბილით არ უნდა გადავკვეთოთ. გზის ნაპირას არ უნდა ვითამაშოთ.

1) საგზაო მოძრაობის წესების არშემსრულებელ ამხანაგებს როგორ ეხმარები?
2) რვეულში ჩაწერე საგზაო მოძრაობის წესები, რომლებიც იცი.

ავტობუსში საჭიროა უკანა კარებიდან ავიდეთ, წინა კარებიდან ჩამოვიდეთ.

ავტობუსის გაჩერების ნიშანი

ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელის ნიშანი



ესკალატორზე მარჯვენა მხარეს, სახით მოძრაობის მიმართულებით გაჩერდი. ესკალატორიდან გადმოსვლისას ფრთხილად იყავი.

ლიფტით სარგებლობისას მოძრაობაში მყოფი ლიფტის ღილაკებს ნუ შეეხები.

გზა მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელზე გადაკვეთე.

ავტომობილის, ავტობუსის ფანჯრიდან თავი და მკლავი არ გამოყო. ეს უაღრესად სახიფათოა.

1) ტრანსპორტის რომელ სახეებს იცნობ?
2) რომელი ქცევის წესების დაცვაა საჭირო ტრანსპორტში?
3) ქვეითად გადასასვლელის ნიშნები სიტყვებით გამოსახე.

ოჯახში

ეს ადამიანები ყოველდღე ერთსა და იმავე ბინაში მოდიან, ერთი და იგივე კარებიდან შედიან, ერთმანეთს ღიმილით ხვდებიან. ერთი სუფრის გარშემო სხდებიან. ერთად ტელევიზორს უყურებენ, სამზარეულოში მუშაობენ, ოთახები წესრიგში მოჰყავთ. სტუმრად მიდიან და სამოგზაუროდ დადიან. მეგობრებსაც ამავე ბინაში ხვდებიან, აცილებენ. ერთად უხარიათ და წუხან. ერთმანეთზე ზრუნავენ და ერთმანეთის სამსახურში დგანან.

თემა 3

ვინ არიან ისინი? რა თქმა უნდა ოჯახის წევრები: პაპა, ბებია, მამა, დედა და ბავშვები. მშობლიური და ძვირფასი ადამიანები. ისინი ყველა საქმეს ურთიერთშორის ინაწილებენ. უფროსებისადმი პატივის, უმცროსებისადმი ალერსის გამოვლენის უნარი აქვთ. ერთმანეთისაგან რჩევას იღებენ. ერთმანეთთან კეთილად საუბრობენ, სასიამოვნო სიტყვები ესმით. ოჯახის წესებსა და კანონებს ასრულებენ. ის უყვართ და იცავენ.

საოჯახო საქმეებში მშობლებისათვის დახმარებით ჩვენ ახალ უნარებს ვეუფლებით.

1) სახლში თავად რომელ სამუშაოებს ასრულებ?
2) რატომ უნდა ეხმარებოდნენ ოჯახის წევრები ერთმანეთს?
3) მშობლებს რომელ საქმეებში ეხმარები? ამ დროს რომელ უნარებს შეიძლება დაეუფლო? მოსაზრებები დაწერე.



თემა 4

ქცევის კულტურა

დილაა. მშობლებს ვესალმები:

— დილა მშვიდობისა!

მათ სახეზე ღიმილი დასთამაშებთ. მე ეს ძალიან მიხარია. სუფრის გარშემო ერთმანეთს ვეუბნებით:

— შეგერგოთ!

დილით ბინიდან პირველი გამსვლელი ამბობს : კარგად იყავით.

სახლში მყოფები:

— კეთილი მგზავრობა!-ამბობენ.

მე სკოლის გზას მივუყვები. გზაზე კლასის ამხანაგს თურანს ვხვდები. ის გვერდით მყოფ ბიჭს წარმომიდგენს:

— ეს ჩემი მეგობარი ადილია,-ამბობს.

ჩვენ ერთმანეთს ხელს ვართმევთ. მეც სახელს ვეუბნები:

— სამირე.

საუბარ-საუბრით სკოლის მხარეს მივდივართ.

გზაზე გადამსვლელ ერთ ინვალიდს ხელით ბარგი მიაქვს. ჩვენ მას ვუახლოვდებით.

— ნება მოგვეცით, რომ დაგეხმაროთ.

ღიმილით გვთანხმდება. განშორებისას გვეუბნება:

— დიდხანს იცოცხლეთ!

სკოლის კიბეებზე ასვლისას ერთ-ერთ მასწავლებელს ვხვდები. კიბეებზე პირველად ასასვლელად ძას გზას ვუთმობ და ვეუბნები:

— მიბრძანდით!

კლასის ამხანაგებს აიგუნი წრეში მოუქცევიათ. დღეს ხომ მისი დაბადების დღეა. მეც ვულოცავ მას.

— აიგუნ, დაბადების დღეს გილოცავ!

აიგუნი მადლობა მიხდის:

— დიდი მადლობა, სამირე!

გაკვეთილი იწყება.

ასე, რომ ჩვენ ყველანი მასწავლებლებისა და მშობლების დარიგებების, შინაგანაწესის შესაბამისი ქცევებით ვეცდებით ვიყოთ კულტურულები.

1) შენ როდის იხდი ბოდიშს?
2) როცა დახმარებისათვის ვიღაცა მადლობას არ გიხდის, თავს როგორ გრძნობ?
3) რატომ ცდილობენ მოთხრობის პერსონაჟი ბავშვები, რომ კულტურულად მოიქცნენ?

— მაპატიეთ, ბოდიშს გიხდით.

— თუ შეიძლება მითხარით, რომელი საათია?
— ზუსტად ხუთი საათია.
— მადლობას მოგახსენებთ.



— კარგად იყავი, მე მივდივარ.
— კეთილი მგზავრობა. ღმერთი გფარავდეს!
— გმადლობთ!



— შენი აზრით, ეს ბიჭი სწორად იქცევა?

უ ნ დ ა ვ თ ქ ვ ა თ:

შეხვედრისას — სალამი, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა.
დამშვიდობებისას — კარგად ბრძანდებოდეთ, შეხვედრამდე.
ავადმყოფებს — ღმერთმა გამოგაჯანმრთელოთ! მალე გამოჯანმრთელებას გისურვებთ.
თხოვნისას — თქვენის ნებართვით, თუ არ შეწუხდებით.
მადლობის მოხდისას — მადლობელი ვარ, დიდი მადლობა.

ყოველივე ამას მეტყველების ეტიკეტები ეწოდება.
ეს ადამიანებთან ურთიერთობების აგების, ქცევის ნორმებია.

დღის რეჟიმი

შენ სკოლიდან მოსვლისთანავე რა უნდა გააკეთო იცი? მე ვიცი, ჯერ ხელ-პირს ვიბანს, ვსადილობ, ცოტას ვისვენებ. გაკვეთილებს ვამზადებ. ოთახი წესრიგში მომყავს, ქოთნის ყვავილებს ვრწყავ. შემდეგ სურათს ვხატავ, ვერთობი, მუსიკას ვუსმენ და ტელევიზორს ვუყურებ. ეზოში მეგობრებთან სათამაშოდაც დროს გამოვყოფ. მე არასდროს არ ვიღლები, ყოველთვის მხიარულად და მხნედ ვარ.

ყველა საქმის შესრულებისათვის საჭიროა დღის სწორად დაყოფის უნარი გქონდეს. ამას დღის რეჟიმს უწოდებენ. ყველამ დღის რეჯიმი თვითონ უნდა შეადგინოს და შეასრულოს.



7.00–7.20

ვიღვიძებ.

ვვარჯიშობ.

ხელ-პირს ვიბანს.

ვსაუზმობ.



7.20–7.40

7.40–8.00

სკოლისაკენ მივდივარ.

თემა 5

8:00 – 12:10

სკოლაში
ვარ.

12:10 – 12.30

სკოლიდან
მოვდივარ.

12:30 – 14:00

ტანსაცმელს ვიცვლი,
ხელებს ვიბან და
ვსადილობ.

14:00 — 17:00

ვისვენებ და საშინაო
დავალებებს ვასრულებ.

17:00 – 19:00

19:00 — 21:00

21:00 — 7:00

მეგობრებთან ვთამაშობ,
შემდეგ ვვახშმობ.

სატელევიზიო გადაცემებს
ვუყურებ, საყვარელი
საქმეებით ვკავდები.

ვიძინებ.

1) შენ დღეს როგორ ანაწილებ? რვეულში ჩაწერე.
2) დღის ეფექტიანად გატარებისათვის რისი გაკეთებაა საჭირო?
3) განმარტე «დრო ოქროა» ანდაზის არსი.

თემა 6

რა არის ჯანმრთელობა?

თითოეულ ადამიანს უნდა, რომ ჯანმრთელი იყოს. ჯანმრთელობა ადამიანისათვის ღირებული კეთილდღეობაა. ჯანმრთელი ადამიანი ყოველთვის მხნედაა. ჯანმრთელობა კარგ გუნება-განწყობილებას ქმნის. ჯანმრთელობა თანაც ხანგრძლივ სიცოცხლეს ნიშნავს.

1) რატომაა, რომ დღესასწაულებზე, დაბადების დღეებზე ერთმანეთისათვის მიმლოცავები, როგორც წესი ამბობენ «გისურვებ დიდხან სიცოცხლესა და ჯანმრთელობას»?
2) სურათების საფუძველზე ასახე ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანების მდგომარეობა.

დაავადებისას ადამიანის განწყობილება ირღვევა. ავადმყოფი ადამიანი მხიარული და მხნე აღარაა. მისი წილი საქმეების კარგად და დროულად შესრულება არ შეუძლია, ამიტომაც ჯანმრთელობის დაცვა არის საჭირო.

1) მე-16 და მე-17 გვერდებზე სურათებზე ნანახი ბავშვების მდგომარეობაში რა განსხვავებებია?
2) შენი აზრით, ადამიანი რატომ ხდება ავად? პასუხი რვეულში ჩაწერით განმარტე.

თემა 7

ჯანმრთელად ყოფნის გზები

ადამიანი, რომელსაც უნდა რომ ჯანმრთელი იყოს, პირველ რიგში სწორად უნდა იკვებებოდეს. ყოველ დღეს განსაზღვრულ დროს ახალი, ვიტამინიანი საკვები უნდა მიიღოს. ჯანმრთელობის მეორე პირობა კი პირადი ჰიგიენის წესების დაცვაა. ჭამის წინ ხელების დაბანა აუცილებელია.

საჭიროა საღამოს არა უგვიანეს 9 საათისა დაწოლა, დილით არა უგვიანეს 7 საათისა გაღვიძება. სუფთა ჰაერზე ყოფნა, სპორტული მოძრაობების შესრულება ჯანმრთელობის ძირითადი პირობებია. მისაღებ და საძინებელ ოთახებში ჰაერის გამოცვლა ჯაანმრთელობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ყოველთვის კეთილად, მომღიმარი ყოფნაც ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებით გავლენას ახდენს.



თემა 7

წლის დროისა და ამინდის მდგომარეობის შესაბამისად ჩაცმასაც ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სეზონისა და ამინდის მდგომარეობის შეცვლისას ჩასაცმელიც უნდა შეიცვალოს.

1) რისი გაკეთებაა საჭირო ჯანმრთელად ყოფნისათვის?
2) სეზონისა და ამინდის მდგომარეობის შესაბამისად ჩასაცმელის მნიშვნელობა რაშია?
3) ჩასაცმელის სახელები სეზონების შესაბამისად დააჯგუფე, რვეულში ჩაწერე.

თემა 8

როგორ უნდა დავიცვათ თავი გადამდები დაავადებებისაგან?

თითოეული ადამიანი, რომელიც ჯანმრთელობას არ იცავს, შეიძლება დაავადდეს. დაავადებათა ერთი ნაწილი გადამდებია. გადამდები დაავადებები ავადმყოფი ადამიანისაგან შეიძლება ჯანმრთელ ადამიანზე გადავიდეს და სწრაფად გავრცელდეს. ასეთ დაავადებებს ბაქტერიები და ვირუსები წარმოქმნიან. ისინი შეუიარაღებელი თვალით შეუმჩნეველი, მცირე ზომის ცოცხალი ორგანიზმებია.

გაოფლიანებისას ცივი წყლის დალევა, ან კიდევ ნაყინის ჭამა ანგინით დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს. ანგინის დაავადებას ხალხში «ყელიდან მოსულს» უწოდებენ. ამ დროს ადამიანის ტემპერატურა მატულობს. ყელში ძლიერი ტკივილი და დაჩირქება წარმოიქმნება.

გრიპით დაავადებული ადამიანის ტემპერატურაც მატულობს. ახველებს, აცემინებს, სუნთქვა უჭირს. ბავშვი, რომელიც თავის თავს ასეთ ნიშნებს ამჩნევს, გაკვეთილებზე არ უნდა მოვიდეს. სახლში მშობლებისა და ექიმის კონტროლის ქვეშ, წოლით რეჟიმში უნდა იყოს, რადგან ის ავადმყოფი სკოლაში თუ მოვა, ამხანაგებსაც დაავადებას გადასდებს. სწორი კვება, სისუფთავე, სპორტი და დროულად გაკეთებული აცრები, ბავშვებს იცავს დაავადებებისაგან. აცრა რაიმე დაავადების თავიდან აცილების ან კიდევ მისი შემსუბუქებისათვის ორგანიზმში სპეციალური ნივთიერების შეყვანაა.

ამ ბავშვებს აცრების გაკეთებისა არ ეშინიათ, რადგან იციან, რომ აცრა მათ დაავადებებისაგან დაიცავთ.

საკუთარ თავს ციების, თავის ტკივილის, სისუსტის, ხველების, ყელის ტკივილის შეგრძნებისთანავე მშობლებს ან კიდევ მასწავლებელს შეატყობინე.

დროულად გაუტანელი ნაგავი გადამდები დაავადების წყარო შეიძლება იყოს.

1) რომელ გადამდებ დაავადებებს იცნობ?
2) ნაცნობი გადამდები დაავადებებისაგან დაცვის გზების შესახებ რაც იცი, რვეულში ჩაწერე.

თემა 9

საფრთხეებისაგან თავის დაცვა ყველას უნდა შეეძლოს

ამ დროს რა შეიძლება მოხდეს?

ადამიანები ყოფა-ცხოვრებაში გაზქურას, მაცივარს, სარეცხ მანქანას, ფენს, ტელევიზორს, რადიოს, ლამპარს, მაკრატელს, დანას, ჩაქუჩს, ბურღს და სხვა ინსტრუმენტებსა და მოწყობილობებს იყენებენ. მათ საყოფაცხოვრებო მოწყობილობებსაც უწოდებენ. ამ მოწყობილობების გამოყენებისათვის, ჯერ მათი გამოყენების წესების შესწავლაა საჭირო. ეს უსაფრთხოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

1) ოჯახში მშობლები რომელი საყოფაცხოვრებო მოწყობილობის გამოყენების ნებას არ გაძლევენ?
2) ხანძრის წარმომშობი საყოფაცხოვრებო მოწყობილობების სახელები რვეულში დაწერე.

ეზოებში არსებული ელექტრონული დანადგარების ახლოს სიარული და თამაშიც **შეიძლება სიცოცხლისათვის სახიფათო იყოს.**

საყოფაცხოვრებო მოწყობილობების გამოყენების წესების დარღვევისას, შეიძლება სიცოცხლისათვის საფრთხე წარმოიქმნას. მაგალითად, გაზქურის გაზის ონკანის ღიად დატოვება ძალიან სახიფათოა, რადგან ეს შეიძლება მოწამვლის, აფეთქების ან ხანძრის საბაბი გახდეს. ამიტომაც სახლიდან გამოსვლისას აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ გაზის ონკანი დაკეტილია.

ელექტრონული მოწყობილობების ქსელში ჩართვისას, ან კიდევ ქსელიდან გამორთვისას აჩქარება, გამტარის გამოწევა არ შეიძლება. ჩართულ ელექტრონულ მოწყობილობაზე სველი ხელით შეხება სახიფათოა.

მშენებლობის ადგილებში თამაში არ შეიძლება. სოფელში მცხოვრებმა ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ მდინარის ნაპირას თამაში სახიფათოა. თუ ეზოში თამაშის დროს უცხო ადამიანი მოგიახლოვდა, გასეირნება შემოგთავაზა, არ წახვიდე, რადგან ის შეიძლება ცუდი ზრახვების მქონე ადამიანი იყოს.

უსაფრთხოების დასაცავად შენ სხვა წესებიც უნდა შეასრულო. არასდროს არ შეეხო იმ საგნებს, რომლებიც არ იცი რა არის! ეს შეიძლება ძალიან სახიფათო იყოს.

სურსათის შეძენისას უნდა დარწმუნდე, რომ ის ახალია, რადგან ვადაგასული საკვები პროდუქტები შეიძლება სიცოცხლისათვის ასევე სახიფათო იყოს.

განმარტე სურათებზე არსებული ქცევები.

1) რა შეიძლება გამოიწვიოს გაზქურასთან გაუფრთხილებლობამ?
2) რომელ მოვლენებს ეწოდება ტექნოგენური ავარიები?
3) რატომ არ შეიძლება უცნობ საგნებზე შეხება? მას რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს?
4) სათამაშოდ შესაფერისი ადგილების სახელები რვეულში ჩაწერე.

ზოგჯერ თვით ადამიანების მიზეზით მომხდარი ტექნოგენური ავარიები: ხანძრები, აფეთქებები ხდება.

ტექნოგენური ავარიების დროს გარემო მტვრითა და მომწამვლელი ნივთიერებებით ბინძურდება. ასეთ შემთხვევებში ადამიანების მიერ საკუთარი თავის მტვრისა და მომწამვლელი ნივთიერებების გავლენისაგან დაცვისათვის სხვადასხვა საშუალება არსებობს. აირწინაღი და რესპირატორი ასეთი საშუალებებია.

ხანძრის გაჩენისას მისი სწრაფი ჩაქრობისათვის ბინების უმრავლესობის დერეფნებში ცეცხლის ჩამქრობი დაიდება.

რესპირატორი

აირწინაღი

ცეცხლის ჩამქრობი

ეს ტელეფონის ნომრები დაიმახსოვრე

სახანძრო სამსახური	101
პოლიციის განყოფილება	102
სასწრაფო სამედიცინო დახმარება	103
გაზის ავარიული სამსახური	104
საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო	112

რომელ ბინაშიც ხარ, თუ ხანძარი გაჩნდა:

- თავდაჯერებულად იმოქმედე, ზედმეტად ნუ იჩქარებ;
- სახანძროში დარეკე, შეეცადე მისამართი ზუსტად უთხრა;
- ბინა დატოვე;
- თუ ოთახიდან გამოსვლის შესაძლებლობა ვერ იპოვე, იატაკზე დაწექი, რათა კვამლისაგან არ დაიხრჩო;
- შეეცადე, ალის ალყაში არ მოხვდე.



ნომერ 112 – ზე რა შემთხვევებშია დარეკვა საჭირო?

ჩვენ ბუნების შვილები ვართ

რა არის ბუნება?

- დედამიწა
- მზე, ჰაერი, წყალი, მიწა
- მცენარეები და ცხოველები
- ქალაქსა და სოფელში

ბუნებრივი მოვლენები

- ტემპერატურა და მისი გაზომვა
- წყლის ბრუნვა ბუნებაში
- წელიწადის დროები
- როგორ იცვლება დედამიწის ზედაპირი?

თემა 10

დედამიწა

ერთხელ სატელევიზიო გადაცემაში ასეთი გამოთქმა მოვისმინე: « დედამიწა ჩვენი სახლია». მე მასწავლებელს ვკითხე, თუ რას ნიშნავს ეს. მან მე ბევრი საინტერესო ინფორმაცია გამაცნო. მისი სიტყვებიდან ვისწავლე, რომ დედამიწა ციური სხეულია. დედამიწა მზის გარშემო მბრუნავი 8 პლანეტიდან ერთ-ერთია. ამ პლანეტებიდან მხოლოდ დედამიწაზეა სიცოცხლე.



გლობუსი დედამიწის მცირე მოდელია. დედამიწაზე არსებული ოკეანეები, ზღვები, მთები, დაბლობები, მდინარეები გლობუსსა და მსოფლიო რუკაზე აისახება. აქ ზღვები და ოკეანეები ცისფრად, მთები კი ყავისფრადაა ნაჩვენები. რუკაზე და გლობუსზე დიდი ნაწილი ცისფერია. ეს ნიშნავს, რომ დედამიწის ზედაპირის დიდი ნაწილი ზღვებსა და ოკეანეებს უკავიათ.

გლობუსი

თემა 10



მსოფლიო რუკა

გლობუსები და რუკები სხვადასხვანაირია. მათგან ზოგიერთებზე მსოფლიოს ქვეყნებიცაა ნაჩვენები. დედამიწაზე ბევრი ქვეყანაა. ამ ქვეყნებში სხვადასხვა ადამიანები ცხოვრობენ. ახლა მე უკვე ვიცი, რატომ ამბობენ « დედამიწა ჩვენი სახლია».

თავის მხრებქვეშ სუყველას
ადგილს უთმობს დედამიწა,
ბაღნარად ის რომ ვაქციოთ,
თითო ვარდი დავრგოთ ყველამ.

რაფიკ იუსიფოღლუ

1) რა ჰქვია დედამიწის შემცირებულ მოდელს?
2) გლობუსზე არსებული ფერები რას ასახავს?
3) მზის გარშემო რამდენი პლანეტა ბრუნავს?
4) იპოვე აზერბაიჯანი მსოფლიო რუკაზე.

მზე, ჰაერი, წყალი, მიწა



მზე უზარმაზარი ციური სხეულია. ის მარადიულად აფრქვევს სინათლეს და გარემოს ათბობს. მზის სითბო და სინათლე გარემოში სხივების საშუალებით ვრცელდება. დედამიწა თბება. ეს ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუ მზის სხივები დედამიწას სინათლეს და სითბოს არ მიაწვდის, ყველა ცოცხალი ორგანიზმი მოისპობა.

ბუნებაში წყლის აორთქლება, თოვლის დნობა, ქარის გაჩენა და სხვა მრავალი მოვლენა მზის გავლენით ხდება.

თემა 11

ზაფხულის ცხელ დღეებში მზის ქვეშ დიდხანს ნუ იყვლი: ეს მზის დარტყმის მიზეზი შეიძლება გახდეს.

1) რომელი ბუნებრივი მოვლენებია დაკავშირებული მზესთან?
2) განმარტე ნანახი სურათების მზესთან კავშირი.
3) დაწერე ესე სიცოცხლისათვის მზის მნიშვნელობის შესახებ.

უფროსები ერთ ასეთ გამოთქმას ხშირად ხმარობენ: «მე ის ჰაერი-ვით და წყალივით მჭირდება », რადგან ჰაერიც და წყალიც ცოცხალი ორგა-ნიზმების არსებობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ცოცხალ ორგანიზმებს სუნთქვის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ. ადამიანს წყლის გარეშე რამდენიმე დღე, უჰაეროდ კი სულ რამდენიმე წუთი შეუძლია იცო-ცხლოს. იქ, სადაც გამწვანება მეტია, ჰაერი სუფთაა. ამიტომაც გამწვანების დაცვაა საჭირო.

«წყალი სიცოცხლეა», გამოთქმაც უბრალოდ არ წარმოქმნილა. უწყლოდ სიცოცხლე არ არსებობს. ორგანიზმის ნახევარზე მეტს წყალი შეადგენს. დედამიწის დიდი ნაწილი წყალს უკავია, მაგრამ ოკეანეების, ზღვების წყალი სასმელი არაა, რადგან მლაშეა. ამიტომაც სასმელ წყალს მტკნარ წყალს უწოდებენ. დედამიწაზე არსებობს ისეთი ადგილები, სადაც ადამიანები სასმელი წყლის ნაკლებობის გამო იტანჯებიან. მტკნარი წყლის ეკონომიის გაკეთებაა საჭირო. მისი დაბინძურება არ შეიძლება.

ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი ფაქტორებიდან ერთ-ერთი მიწაა. მიწაზე მცენარეები იზრდება.

ზღვა

ტყე

თემა 11



მდინარე

ტბა

სათესი ფართობი

1) ცოცხალი ორგანიზმებისათვის რა მნიშვნელობა აქვს ჰაერს?
2) რაზეა დამოკიდებული ჰაერის სისუფთავე?
3) რისთვის არის საჭირო წყლის ეკონომია? რატომ არ შეიძლება წყლის დაბინძურება? მოსაზრება განმარტე.
4) «მიწა დედაა», გამოთქმის აზრი განმარტე და რვეულში ჩაწერე.

თემა 12

მცენარეები და ცხოველები

სიცოცხლის წარმოდგენა მცენარეების გარეშე შეუძლებელია. მწვანე მცენარეები ჰაერს ჯანგბადით ამდიდრებენ. მცენარეები საკმაოდ ბევრი ცხოველის საკვებია. ადამიანების საკვებშიც ძირითად ნაწილს მცენარეები შეადგენს.

მიწისზედა ნაწილის აგებულების მიხედვით მცენარეები სამ ჯგუფად იყოფა: ხეები, ბუჩქები და ბალახები. ხეების ღერო მაღალი და შეშად ქცეულია. ღეროს ზედა ნაწილში განშტოებები ხდება, განიტოტება.

ხე

ხეებისაგან განსხვავებით ბუჩქების ღეროები შედარებით ნაზი და მოკლეა. ღეროები მიწის ზედაპირიდან ახლო მანძილზე განიტოტება. ჩვენს ქვეყანაში ბროწეულის, თხილის, მოცხარის და სხვა ბუჩქები იზრდება.

ბუჩქი

ბალახების ღეროები კი მთლად არ გახევდება, ნაზი და მწვანეა. ხეებისა და ბუჩქების სიცოცხლე ხანგრძლივია, ხოლო ბალახებისა კი შედარებით მოკლეა.

ბალახი

მცენარეები კულტურულებად და ველურებად იყოფა. ბაღებში, პლანტაცი-ებში, ჯეჯილებში, ბაღჩაში და ბოსტანში ადამიანის მიერ მოყვანილი მცენარეები კულტურული მცენარეებია. საზამთრო, ნესვი, ყურძენი, ლიმონი, ფორთოხალი და სხვა კულტურულ მცენარეებს მიეკუთვნება.

მინდვრებში,ტყეებში თავისთავად მზარდი მცენარეები კი ველური მცენარეებია. ჭინჭარი, ჟუნჟრუკი, მაყვალი, აბზინდა, ჭანგა და სხვები ველურ მცენარეებს მიეკუთვნება.

ველური ბროწეული

ველური მსხალი

ველური ვაშლი

ტყის მარწყვი

პომიდორი

ყურძენი

მოცხარი

ჟოლო

თემა 12

ცოცხალი ორგანიზმების სამყაროში ერთ დიდ ნაწილს ცხოველები შეადგენენ.



ზოგიერთ ცხოველს ადამიანები ზრდიან და უვლიან. ისინი შინაური ცხოველები არიან. ამ ცხოველების უმრავლესობას ყველა იცნობს. ქათამი,იხვი, ბატი, ძროხა,ცხვარი, თხა, ცხენი შინაური ცხოველებია.



ტყეებში და მინდვრებში ბინადარი ცხოველები ველური ცხოველები არიან. ზოგიერთი მათგანი ბალახით, ზოგი კი ხორცით იკვებება. ხორცისმჭამელ ცხოველებს მტაცებელ ცხოველებს უწოდებენ. დათვი, მგელი, მელა, ლომი, ვეფხვი მტაცებელი ცხოველებია. კენგურუ,ირემი, სპილო კი ბალახისმჭამელ ცხოველებს მიეკუთვნებიან.

იზრუნე მცენარეებსა და ცხოველებზე. მათთან ფრთხილად მოიქეცი.

1) რომელ ბალახისმჭამელ ცხოველებს იცნობ?
2) ჩამოთვალე ნაცნობი კულტურულ მცენარეთა სახელები.
3) რატომ უწოდებენ მგელს მტაცებელ ცხოველს?
4) შენს საცხოვრებელ ტერიტორიაზე არსებული ხეების სახელები რვეულში ჩაწერე.

თემა 13

ქალაქსა და სოფელში

ჩვენ სამყაროს გარშემო ნანახი ცოცხალი და არაცოცხალი საგნები ჩვენს გარე-მომცველ სამყაროს ქმნიან. საცხოვრებელი ადგილისაგან დამოკიდებულებით ჩვენი გარემომცველი სამყარო განსხვავებულია. ქალაქში მცხოვრები ადამიანები მრავალსართულიანი ბინებით, ხიდებით და სხვა ნაგებობებით არიან გარემოცულნი. ქალაქში უფრო მეტი მოსახლეობა ცხოვრობს. ამის შესაბამისად აქ მეტი სკოლა, სამრეწველო საწარმოები, სპორტული კომპლექსები და საავადმყოფოებია. ქალაქში სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობაც მეტია, ამიტომაც ქალაქის ცხოვრება უფრო მჩქეფარეა.

თემა 13

სოფლად მცხოვრები ადამიანების გარემომცველ გარემოში კი ნათესი ფართობები, ბაღჩები, ბაღები, შინაური ცხოველები, შინაური ფრინველებია. სოფელში ჰაერი უფრო სუფთაა. აქ ადამიანებს ცოცხალ ბუნებასთან უფრო მეტი შეხება აქვთ.

სურათზე ნანახი ტერიტორია თქვენს საცხოვრებელ ტერიტორიას შეადარეთ.

1) რით განსხვავდება ქალაქისა და სოფლის ბუნება ერთმანეთისაგან?
2) ქალაქში ცხოვრება მოგწონს თუ სოფელში? რატომ?
3) განმარტე გამწვანების მნიშვნელობა ცოცხალი არსებებისათვის.
4) დახატე შენი საცხოვრებელი ადგილი.

ჩვენ ბუნების შვილები ვარო

ბუნებაში არსებული ყველა ცოცხალი არსება გარემომცველ გარემოსთან მუდმივ კავშირშია. თუ ჩასასუნთქი ჰაერი, სასმელი წყალი დაბინძურდება, ჩვენ დავავადდებით. ამიტომ გარემოს სისუფთავის დაცვა ყველას ვალია.

თუ გინდ ქალაქი იყოს, თუ გინდ სოფელი ადამიანი სადაც დაბადებულ-გაზრდილა, ის ადგილი მისთვის მშობლიურია. ადამიანებმა საცხოვრებელი ადგილის გარემოს სისუფთავე უნდა დაიცვან, რადგან ჩვენი ქალაქები და ჩვენი სოფლები ყველა ერთად ჩვენს მშობლიურ აზერბაიჯანს ნიშნავს.

ჰაერის დაბინძურება

1) სურათებზე ნანახი ცხოვრებაში შეგხვდრია?
2) რა შემთხვევაში შეაქვთ ცხოველებისა და მცენარეების სახელები « წითელ წიგნში »?
3) «წითელი წიგნის» დანიშნულება რვეულში წერით განმარტე.

თემა 13

ნიადაგის დაბინძურება

წყლის დაბინძურება

ქვეყნად ბუნების- მცენარეების, ცხოველების დაცვის მაკონტროლებელი ორგანიზაციები არსებობენ. გადაშენების გზაზე მყოფი იშვიათი მცენარეებისა და ცხოველების სახელები შეიტანება «წითელ წიგნში». თუ მცენარის ან ცხოველის სახელი შეტანილია «წითელ წიგნში» მათი სახელმწიფს მხრიდან ძალიან მკაცრად დაცვა ხდება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის «წითელ წიგნში» მოხვედრილი ცხოველები.

ლეოპარდი

წითელი ფლამინგო

ფოცხვერი

1) რა შემთხვევაში ხვდება მცენარეებისა და ცხოველების სახელები «წითელ წიგნში»?
2) შენი აზრით ვისზე შეიძლება ითქვას «ბუნების მეგობრები»?
3) ბუნების დაცვა, მასზე ზრუნვა ვისი საქმეა?
4) ადამიანმა ბუნება რომ არ დაიცვას, მასზე რომ არ იზრუნოს ცხოვრებაში რა შეიძლება მოხდეს? მოსაზრებები რვეულში ჩაწერე.

თემა 14

ტემპერატურა და მისი გაზომვა



თბილი, ცივი,ნელთბილი, გრილი, ცხელი, მდუღარე, ყინულის მაგვარი სიტყვები ყველასათვის ნაცნობია. ეს სიტყვები ჰაერის, წყლის, ქვიშის, მიწის ტემპერატურის შეტყობინებისათვის გამოიყენება. ტემპერატურის უფრო ზუსტად გასაზომად ადამიანებმა გამოიგონეს სპეციალური ინსტრუმენტი, რომელსაც თერმომეტრი ჰქვია. თერმომეტრები სხვადასხვაგვარია: ჰაერის თერმომეტრი, წყლის თერმომეტრი, სამედიცინო თერმომეტრი და სხვები. ამ თერმომეტრების დახმარებით ჰაერის, წყლის, ადამიანის სხეულის ტემპერატურა იზომება. ჯანმრთელი ადამიანის სხეულის ტემპერატურა 36,6 გრადუსია.

თერმომეტრი შიგნით სპეციალური სითხისშემცველი წვრილი მინის მილისაგან და მასზე მიმაგრებული დანაყოფებიანი სკალისაგან შედგება. სკალის დანაყოფების გასწვრივ რიცხვები იწერება. ეს რიცხვები გრადუსებს უჩვენებს.

თერმომეტრებით მხოლოდ სიცხის კი არა, სიცივის გაზომვაც შეიძლება. თერმომეტრის დანაყოფიან სკალაზე 0 (ნული) გრადუსი სიცხისა და სიცივის საზღვარია. ნულის ზემოთ მყოფი რიცხვები სიცხეს, ხოლო ქვემოთ მყოფები სიცივეს გვატყობინებს. მაგალითად, სპეციალური სითხე 0-ის ზევით 5-ის დონეზეა. ეს ნიშნავს, რომ ტემპერატურა 5 გრადუსი სითბოა და ასე იწერება $+5^{\circ}$. თუ სპეციალური სითხე 0-ის ქვემოთ 3-ის დონეზეა, ეს გვატყობინებებს, რომ 3 გრადუსი სიცივეა (ყინვა) და ასე იწერება -3°.

სამედიცინო თერმომეტრი

წყლის თერმომეტრი



ჰაერის თერმომეტრი

სამედიცინო თერმომეტრის მილში ვერცხლისწყალია. იგი ძალიან მომწამვლელია. თერმომეტრთან ფრთხილად მოქცევაა საჭირო. თუ თერმომეტრი გატყდა, ვერცხლისწყალთან შეხება არ შეიძლება. მყისვე უფროსებს შეატყობინე. თუ საჭირო არ არის, სამედიცინო თერმომეტრს ნუ აიღებ და ნუ ითამაშებ.

1) რისთვის გამოიყენება თერმომეტრები?
2) თერმომეტრის ნაწილები რომლებია?
3) სხვადასხვა თერმომეტრების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები შეადარე.
4) ვერცხლისწყლიანი თერმომეტრით მუშაობისას რომელი წესების დაცვაა საჭირო?
5) ერთი დღის განმავლობაში დილის, შუადღისა და საღამოს საათებში ჰაერის თერმომეტრის მაჩვენებლები რვეულში ჩაწერე. შემდეგ რიცხვები შეადარე. რიცხვების განსხვავების მიზეზი განმარტე.

თემა 15

წყლის ბრუნვა ბუნებაში

ბუნებაში წყალი თხევადი მდგომარეობის გარდა, ორთქლისა და ყინულის მდგომარეობაშიც გვხვდება. წყალი ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლისას ყოველთვის მოძრაობს. შენ, ალბათ წვიმის შემდეგ წარმოქმნილი გუბეები გინახავს. ეს გუბეები გარკვეული დროის შემდეგ შრება, ან კიდევ ზამთარში მოსული თოვლი, როგორც კი ჰაერი დათბება, დნება. ყინულიც სითბოს გავლენით სითხედ იქცევა, შემდეგ კი ორთქლად იქცევა. წყალი ყოველთვის მზის სითბოთი ორთქლდება, ცაში ადის და ღრუბელი წარმოიქმნება. ღრუბლები კი ნალექად - წვიმად, თოვლად, სეტყვად იქცევა და წყალი ისევ მიწას უბრუნდება. წყალი მარადიულად ასე ბრუნავს. ამას ბუნებაში წყლის ბრუნვას უწოდებენ.



ნალექის მოსვლის ფორმები

1) ნალექის მოსვლის რომელ ფორმებს იცნობ?
2) წყალი რომ არ აორთქლებულიყო, რა მოხდებოდა?
3) რა მნიშვნელობა აქვს წვიმას ცოცხალი არსებებისათვის?

თემა 15



1) რატომაა რომ სეტყვას, თოვლს წყლის ნალექის ფორმას უწოდებენ, ნაყინს არა?
2) დახაზე ბუნებაში წყლის ბრუნვის ამსახველი სქემა.

თემა 16

წელიწადის დროები

წელიწადის დროების შეცვლის შესაბამისად ხან ღამეები, ხან კი დღეებია გრძელი. შემოდგომასა და ზამთარში ღამეები გრძელია, გაზაფხულსა და ზაფხულში კი დღეები გრძელია.

ზამთრის შემდეგ გაზაფხული მოდის. თანდათან ცხება. ბუნება ნელ-ნელა ცოცხლდება. ადამიანები პალტოებსა და ქურთუკებს იხდიან. ჩვენს ხალხს გაზაფხული ძალიან უყვარს. ყოველი წლის 20-21 მარტს ნოვრუზის დღესასწაულს ზეიმით აღვნიშნავთ.

გაზაფხულს ზაფხული ანაცვლებს. ზაფხული წლის ყველაზე ცხელი დროა. ზაფხულში სკოლები იკეტება. მოსწავლეებს არდადეგებზე უშვებენ. ზაფხულს ბავშვების დასვენების სეზონიც შეიძლება ეწოდოს.

ჩვენი მამულის შემოდგომაც ლამაზია. შემოდგომაზე ამინდები გრილდება. ხილი მწიფდება, ფოთლები ცვივა. ხეები ტიტვლდებიან, ადამიანები კი თბილ ჩასაცმელს იცვამენ.

ზამთარი ყველაზე ცივი დროა. ჩვენ ზამთრის სეზონიც მოგვწონს იმიტომ, რომ ზამთარში ძალიან საყვარელი თოვლი მოდის. ზამთარში მიწა ისვენებს. ზოგიერთი ცხოველი ზამთრის ძილს ეძლევა.

თემა 16



1) რომელ სეზონზე იღვიძებს მიწა, რომელ სეზონზე იძინებს?
2) რომელ სეზონზე უფრო მეტად ათბობს დედამიწას მზე?
3) წელიწადის დროების ძირითადი ნიშნები რვეულში ჩაწერე.



თემა 17

როგორ იცვლება დედამიწის ზედაპირი?

დედამიწაზე ტემპერატურის ზრდა-შემცირება, სეზონების ცვლა, წყლის ბრუნვა, ქარის ქროლვა ბუნებრივი მოვლენებია. დედამიწის ზედაპირზე მთები, ვაკეები, დაბლობები დროის გასვლის კვალობაზე ამ მოვლენების გავლენით თავის ფორმას იცვლიან. ქარის, ტემპერატურის, მიწისზედა და მიწისქვეშა წყლების გავლენით მთები, გორაკები წვრილ-წვრილად იშლება. ეს წვრილი ნაწილები ქარისა და წყლის საშუალებით სიმაღლეებიდან დაბალი ტერიტორიებისაკენ ინაცვლებს. ეს ცვლილებები ძალიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდება, ამიტომაც ჩვენს გარშემო მომხდარ ცვლილებებს ვერ ვგრძნობთ. წარმოუდგენელია, რომ იქ, სადაც ახლა დიდი უდაბნო მდებარეობს, მრავალი წლის წინ მაღალი ბალახები იზრდებოდა. აქ ხშირ-ხშირად წვიმდა.

დიდი უდაბნო

ვაკე

ვაკეებსაც ბუნებრივი მოვლენები ქმნის. დედამიწაზე არსებული დიდი თუ პატარა მდინარეები წყლის ბუნებაში ბრუნვის შედეგად წარმოიქმნება.

გეოგელი

თუმცა, საგანგებო ბუნებრივი მოვლენების შედეგად დედამიწის ზედაპირი შეიძლება სწრფად შეიცვალოს. მაგალითად, მიწისძვრის, ვულკანის ამოფრქვევის, მეწყერის, ქარიშხლის, წყალდიდობისმაგვარ მოვლენებს შეუძლიათ დედამნიწის ზედაპირის სწრაფი ცვლილების მიზეზები გახდნენ.

მიწისძვრა

წყალდიდობა

ვულკანის ამოფრქვევა

ტყის ხანძარი

ქარიშხალი

მეწყერი

კოკისპირული წვიმებისაგან წყალდიდობა წარმოიქმნება. ძლიერ წყალდიდობას კი მიწის ზედა ფენის, მასზე მყოფ მცენარეებთან ერთად ჩარეცხვა და წაღება შეუძლია.

ძლიერი მიწისძვრის, ვულკანის ამოფრქვევის შედეგად ხეობები, მთები და ტბები წარმოიქმნება.

აზერბაიჯნის ყველაზე ლამაზი ტბებიდან ერთ-ერთი გეიგელი მიწისძვრის შედეგადაა წარმოქმნილი. მიწისძვრის დროს მთა ქეფეზი ჩამოინგრა, მდინარე აღსუს კალაპოტი ჩაკეტა. ასე წარმოიშვა ჩვენი ლამაზი გეიგელი.

თუმცა დედამიწის ზედაპირი მხოლოდ ბუნებრივი მოვლენების გამო არ იცვლება. ადამიანების საქმიანობაც დედამიწის ზედაპირის ცვლილებების მიზეზი ხდება.


ხეობა

ვულკანური მთა

მთის მდინარე

მიწისძვრა დედამიწის ზოგიერთი ნაწილის ძლიერი რყევაა.

შტორმი ძლიერი ქარის დროს ზღვის ძლიერი ტალღების წარმოშობაა.

მეწყერი მიწის მოწყვეტით ადგილმონაცვლეობაა.

წყალდიდობა ძლიერი წვიმებით ან კიდევ ჩამონგრეული მთებით წარმოქმნილი წყლის მოვარდნაა. როგორც წესი, ადიდებულ წყალს წინ რაც შეხვდება, უმრავლესობას ჩარეცხავს და წაიღებს.

ზვავი მთებში დაგროვილი თოვლის ერთბაშად ადგილიდან მოწყვეტა, სიჩქარით ჩამოსვლაა.

მიწისძვრის დროს

თუ მრავალსართულიან შენობაში ხარ:

- ნუ შეეცდები გარეთ გაქცევას, შიგნით უფრო უსაფრთხოა;
- კარების თაღის, მაგიდის, საწოლის ქვეშ დაიმალე;
- თუ ოთახში ასეთი გამძლე ავეჯი არ არის, მაშინ კედლის კუთხეში დადექი;
- გაზქურიდან, ფანჯრიდან და აივნიდან მოშორებით დადექი;
- ლიფტით არ ისარგებლო.

თუ სოფელში, ერთსართულიან ბინაში ხარ, სასწრაფოდ დატოვე სახლი.

1) რა არის ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო შემთხვევის განმასხვავებელი?
2) რომელი საგანგებო შემთხვევის თავიდან აცილება შეიძლება?
3) შენი აზრით, ადამიანების საქმიანობის შედეგად დედამიწის ზედაპირი როგორ იცვლება?
4) რომელი ბუნებრივი მოვლენები ქმნის ბუნების ობიექტებს?

ბუნებრივი მოვლენა	ბუნების ობიექტი

ჩვენ მოქალაქეები ვართ

ადამიანებს შორის

- ძალა ერთობაშია
- ჩვენი უფლებები დაცულია
- მორალური თვისებები

ჩვენი სამშობლო

- სამშობლო დედაა
- ჩვენი სახელმწიფო და სახელმწიფო ატრიბუტები

სულიერი და მატერიალური ღირებულებები

- რელიგიები
- ჩვენი მოთხოვნილებები
- ეკონომია და გაფლანგვა

ძალა ერთობაშია

თითოეული ადამიანი თან ერთი ოჯახის, თანაც განსაზღვრული ერთი კოლექტივის წევრია. კოლექტივი ერთად მუშაობისათვის გაერთიანებულ ადამიანთა ერთობლიობაა.

ოჯახისაგან განსხვავებით, ადამიანებს კოლექტივში ნათესაური ურთიერთობები კი არა, შესასრულებელი საქმე აერთიანებთ. მაგალითად, მშენებლობაზე, მძღოლები, კალატოზები, მღებავები, დურგლები ერთად მუშაობენ. თუ მათ ერთად არ იმუშავეს საცხოვრებელი სახლები, სკოლები, სპორტული ნაგებობები არ აშენდება. ექიმების, სპორტის, მუსიკის კოლექტივები, მასწავლებელთა კოლექტივი და სხვა კოლექტივები არსებობს. მაშასადამე, სკოლაში მასწავლებლები, საავადმყოფოში ექიმები, სტადიონზე ფეხბურთელები კოლექტიურად, ერთად მუშაობენ. კოლექტივის ძალა ერთობაშია.

ცალკ-ცალკეც ყველა პროფესიის ადამიანებს ერთმანეთი სჭირდებათ. მასწავლებელს - ექიმი, ექიმს - მასწავლებელი, კალატოზს - მკერავი, მკერავს - პარიკმახერი სჭირდება. ადამიანებს ერთმანეთი ყოველთვის სჭირდებათ.

1) რა არის კოლექტივი?
2) რაშია კოლექტივის ძალა?

ანდაზა

ცალი ხელიდან ხმა
არ გამოვა.

ოჯახსა და კოლექტივს შორის განსხვავება რვეულში
დაწერით განმარტე.

თემა 19

ჩვენი უფლებები დაცულია

სიცოცხლე, განათლების მიღება, აზრის გამოთქმა, დასვენება, მკურნალობა, თითოეული ადამიანის უფლებაა. ეს უფლებები კანონითაა დაცული და მას ადამიანის უფლებები ეწოდება. კანონით დაცული უფლებების დარღვევა არავის შეუძლია.

ადამიანები ბინებში ცხოვრობენ. ეს მათი ბინის ქონის უფლებაა. თითოეულ მოქალაქეს აქვს ბინის ქონის უფლება.

ბავშვები სკოლაში განათლებას იღებენ. ეს მათი განათლების უფლებაა. ყველას აქვს განათლების მიღების უფლება.

ყველას აქვს უფლება იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე. ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანია. მათ უფლებებს სახელმწიფო იცავს. სახელმწიფოს გარდა, მსოფლიოში ადამიანის უფლებების დამცველი სხვადასხვა ორგანიზაცია არსებობს.



1) შენ რომელი უფლებები გაქვს?

2) ვინ იცავს შენს უფლებებს?

თემა 19

ჩვენი უფლებები სკოლაში

- უფასო განათლების მიღება
- სკოლის საკლასო ოთახებით სარგებლობა
- სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა
- სკოლის სპორტული დარბაზით სარგებლობა
- უფასო სახელმძღვანელოებით სარგებლობა

ესენი ბავშვების უფლებების დარღვევაა

- მცირეწლოვანი ბავშვების მუშაობა
- ცემა
- დასვენების დარღვევა
- გაცალკევება-გამორჩევა

შენი და ამხანაგების უფლებების დარღვევის მიმართ გულგრილი ნუ დარჩები.

1) თუ სკოლაში უფლება დაირღვა, ვის უნდა მიმართო?
2) მაღაზიაში შენთვის უხარისხო საქონლის მოყიდვა უფლების დარღვევაა? პასუხი რვეულში ჩაწერე.

თემა 20

მორალური თვისებები

ადამიანები ხასიათის მიხედვით სხვადასხვანაირები არიან. კეთილი, დიდსულოვანი, უბრალო, მცოდნე, მომღიმარი ადამიანები ყველას უყვარს. ასეთების შესახებ ამბობენ «კარგი ადამიანები».

ადამიანების სიყვარული, მათზე ზრუნვა და დიდსულოვანი დამოკიდებულება დადებითი თვისებებია, მაგრამ შური, სიავე, არავისზე დახმარება ადამიანისთვის შეუფერებელი უარყოფითი თვისებებია.

ეს ბავშვი სწორად არ იქცევა. შენი აზრით რატომ?



გაკვეთილებზე ამხანაგის დახმარება კარგი საქციელია.

1) ადამიანის მორალური თვისებები რომლებია?
2) როგორ ადამიანებს უწოდებენ მზრუნველს?
3) რას ნიშნავს იყო დიდსულოვანი?



თემა 20

თამაშის დროს ამხანაგის განზრახ წაქცევა კარგი საქციელი არ არის.

თამაშის დროს მოწინააღმდეგე გუნ-დიდან მყოფი ამხანაგის წამოდგომაში დახმარება საჭიროა.



კლასის ამხანაგის წარმატება გიხაროდეს, რადგან ის თქვენი კლასის სიამაყეა.

ეს თვისებები ადამიანს არ შეშვენის:

- ტყუილის ლაპარაკი
- მლიქვნელობა, მშიშრობა
- სიზარმაცე

შენი სახელის შესაფერი საქმეები გააკეთე, რომ ბოლოს არ შეგრცხვეს და არ ინანო.

ნიზამი გენჯელი

საჭიროების შემთხვევაში მშობლებისა და მასწავლებლებისაგან დახმარება ითხოვე. შეგეძლოს შეცდომის აღიარება.

ნიზამი გენჯელის სიტყვების მნიშვნელობა განმარტე და რვეულში ჩაწერე.

ჩვენ მოქალაქეები ვართ

მაღალი ადამიანური თვისებებიდან ერთ-ერთიც მზრუნველობაა. რა არის მზრუნველობა? თუ შენ ლამაზ ყვავილს ფეხით არ შესდგები, არ გასრეს, ეს ნიშნავს, მზრუნველი ხარ. ქოთნის ყვავილს თუ რწყავ, ეს ნიშნავს, რომ მასზე ზრუნავ. მზრუნველობა კეთილმოსურნეობაა. მოხუცი ბებიის კალათის ტარება, სამზარეულოში დედის დახმარება, ავტობუსსა და მეტროში მოხუცებისათვის ადგილის დათმობა კეთილი ქმედებაა. მზრუნველობა, კეთილი საქმის კეთება თითოეული ადამიანის ზნეობრივი ვალია.

ყვავილებზე ზრუნვა
კეთილი საქმეა.

წაქცეულის წამოდგომაში დახმარება
ადამიანური ვალია.

მოწყალების ვამღებს ღმერთიც შეიწყალებს.

მუჰამმედ მოციქული

სიკეთის გაკეთებისას სამაგიეროს ნუ დაელოდები.
ადამიანს სიკეთეს რომ გაუკეთებ, ნუ დააყვედრი.

«დაყვედრება» სიტყვის მნიშვნელობა განმარტე, რვეულში ჩაწერე.



თემა 20

ერთ დღეს მასწავლებელმა გვითხრა, რომ ზოგი ასაკოვანი ადამიანი მოხუცებულთა სახლში ცხოვრობს. მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები კი ბავშვთა სახლში რჩებიან. ისინი ძალიან განცალკავებულნი არიან. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ წავიდეთ და მოვინახულოთ ისინი.

შაბათ დღეს ჩვენ, მასწავლებელთან ერთად მოხუცებულთა სახლში წავედით. სახლიდან წამოღებული ტკბილეული, წიგნები და ხილი მოხუცებულთა სახლის მცხოვრებლებს გადავეცით. მათ ჩვენი მისვლა ძალიან გაუხარდათ. თანამშრომლები, ექიმები მოხუცებულთა სახლის მაცხოვრებლებს სიამოვნებით ემსახურებიან, რადგან ადამიანებს მხოლოდ პატარობისას კი არა, ხანდაზმულობის დროსაც სჭირდებათ მზრუნველობა.

გარკვეული დროის შემდეგ მასწავლებელმა ჩვენ ბავშვთა სახლშიც წაგვიყვანა.

მოხუცებულთა სახლში

ბავშვთა სახლში

1) ვინ ზრუნავენ შენზე?
2) შენი აზრით, მზრუნველობა უფრო მეტად ვის ესაჭიროება?



რელიგიები

მსოფლიოში სამი ერთღმერთიანი რელიგია არის. ესენია: ისლამი, ქრისტიანობა და იუდაიზმი. სამივე რელიგია გვასწავლის, რომ ყველა არსებას ერთი შემქმნელი ჰყავს. ამიტომაც მას ყოვლისშემქმნელს უწოდებენ. ამ რელიგიებიდან ყველა, ადამიანებს სიყვარულის, მეცნიერების, მშვიდობის, სიმართლის მომხრეობისაკენ მოუწოდებს.

ისლამის რელიგიის მიმღებებს მუსლიმანებს უწოდებენ. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის მეტი ნაწილი მუსლიმანია. ჩვენი რელიგია რწმენაა. რწმენა ღმერთის დაჯერებას და ნდობას ნიშნავს.

მუსლიმანების წმინდა წიგნი ყურანია. ჰაზრეთი მუჰამმედი მუსლიმანთა ფეიღამბარია. ფეიღამბარი ღმერთის სიტყვების ადამიანებამდე მიმტანი ელჩია. რელიგიის რწმენა, მისი მიღება ნებაყოფლობითია.

მეჩეთი მულიმანების ღვთისმსახურების ადგილია. ღვთისმსახურება-ლოცვის წარმოთქმას ნიშნავს.

აზერბაიჯანში მყოფი მორწმუნეების ნაწილი ქრისტიანები და იუდეველები არიან. ქრისტიანები ეკლესიაში, ებრაელები კი სინაგოგაში ღვთისმსახურებენ. ამ რელიგიებიდან თითოეულს თავისი წინას-წარმეტყველი ჰყავს და წმინდა წიგნი აქვს.



მუსლიმანები ქააბაში ღვთისმსახურების დროს





თორა



ბიბლია

პატივისცემით მოეკიდე რელიგიებს.

ისლამის, ქრისტიანობისა და იუდაიზმის მსგავსი ნიშან - თვისებები დაასახელე.

ჩვენი მოთხოვნილებები

ყველა სულიერის ცხოვრებისათვის საჭიროა ჰაერი, წყალი, მიწა, სინათლე. თუმცა სხვა სულიერებისაგან განსხვავებით, ადამიანებს სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნიათ.

ტანსაცმელი, საკვები სურსათი, წასაკითხი წიგნი, გამოსაყენებელი გაზი, ელექროენერგია და სხვა ჩვენი აუცილებელი მოთხოვნილებებია.

1) რომელ სასურასათო პროდუქტს იყენებ ყოველ დღე?
2) კიდევ რომელი აუცილებელი მოთხოვნილებები გაქვს?

სურათებზე ნანახი ადამიანები რომელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან?

1) სად მოჰყავთ ხორბალი?
2) სად იწარმოება ავტომობილი?
3) შენს საცხოვრებელ ტერიტორიაზე საწარმოო სფეროები არის? თუ არის, მათ შესახებ რვეულში ჩაწერე.

თემა 22

აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადამიანებს ფული სჭირდებათ. აზერბაიჯანის ეროვნული ფული მანათია. ერთი მანათი ასი კაპიკია. მანათი ქაღალდისაგან, კაპიკი კი მეტალისაგან მზადდება. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, მაღაზიებსა და ბაზრებში შეძენილი საქონლის ღირებულება მანათით გადაიხდება. თანაც ფული სახელწიფო ატრიბუტია*. ამიტომაც მას პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ. ფულის დახევა, ზედ წარწერის გაკეთება, სურათის დახატვა არ შეიძლება. იმისათვის, რომ ფული არ დაიჭმუჭნოს, ფულის საფულით ტარებაა საჭირო.

ჩვენი ეროვნული ფული

ადამიანების მიერ ნაშოვნი ფული, პიველ რიგში, მათი აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იხარჯება. ჩვენი სახელმწიფო ეცდება, რომ მოქალაქეთა ნაშოვნი ფული მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ეყოს.

***ატრიბუტი** — მისთვის დამახასიათებელი ნიშანი.

1) ადამიანების მოპოვებული ფული, პირველ რიგში რაში იხარჯება?

2) სურათზე ნანახი ფულების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ვენის დიაგრამაზე შეადარე.

მაღაზიაში ვაჭრობისას მყიდველმა ფული სალაროში უნდა გადაიხადოს და ქვითარი უნდა აიღოს.

ფულის დასახარჯად ჯერ მისი შოვნაა საჭირო.

თემა 23

ეკონომია და გაფლანგვა

მძღოლიც, მასწავლებელიც, მუშაც, ექიმიც ფულს შრომით მოიპოვებს. შრომით მოპოვებული ფული ეკონომიურად უნდა დაიხარჯოს, ანუ აუცილებლობის გარეშე ბევრი ფულის ხარჯვა, არასაჭირო ნივთების შეძენა არ შეიძლება. ეს მფლანგველობაა. იქ, სადაც მფლანგველობაა, ბარაქა და სიუხვე არ იქნება.

ბინაში გამოყენებული გაზისათვის, წყალისათვის, სინათლისათვის ფული გადაიხდება. მათი ეკონომიური მოხმარება ფულის ეკონომიას ნიშნავს.

გარდა ამისა, სასკოლო ნივთებიც საჭიროა აკურატულად გამოვიყენოთ, რადგან უწესრიგოდ გამოყენებული საგნები მალე გამოუსადეგარი გახდება. საჭირო ხდება მისი ახლით შეცვლა. ამიტომაც აუცილებელია სუფთად მოპყრობა.

ადამიანის შრომის, დროისა და ფულით შეძენილს, აკურატულად და ეკონომიურად გამოყენებაა საჭირო.

ანდაზა

წვეთ - წვეთობით ტბა წარმოიშობა.

ეკონომიის ხარჯზე ზედმეტი დარჩენილი ფული ყულაბაში შეაგროვე. არდადეგებზე დაგჭირდება.

1) როგორ ხარჯავ შენთვის მოცემულ ფულს?
2) რა სარგებელი აქვს ეკონომიას?
3) სიძუნწისა და ეკონომიურობის სხვაობა განმარტე რვეულში.

იყავი ეკონომიური, მფლანგველობას გზა არ დაუთმო.

თემა 24

სამშობლო დედაა

სამშობლო, სადაც დავიბადე, გავიზარდე მშობლიური კერაა. მიუხედავად იმისა, თუ მსოფლიოს რომელ ნაწილში ცხოვრობენ, ყველა აზერბაიჯანელს ჩვენი აზერბაიჯანი უყვარს და თავიანთ სამშობლოდ მიაჩნიათ. სამშობლოს სიყვარული თითოეული მოქალაქის ვალია. სკოლის მოსწავლეები ამ ვალს კარგი სწავლით, მშობლები თავიანთი საქმეებით, სამშობლოსსამსახურით იხდიან. ჯარისკაცები სამშობლოს სიყვარულს მისი დღისითა და ღამით დაცვით გამოხატავენ.

მე მიყვარს ჩემი სამშობლო. ამიტომაც კარგად ვსწავლობ. მე ოჯახიც მიყვარს. ოჯახში კარგად ნასწავლი და შრომისმოყვარე მშობლები და სამშობლოს დამცველი ჯარისკაცი ძმა მყავს. ჩემი ოჯახისა და სამშობ-ლოსადმი სიყვარული უსაზღვროა.

რა შეგიძლია ისაუბრო შენი ოჯახის შესახებ?

თემა 24

ჩემი ძმის სამხედრო სამსახურში წასვლა ოჯახის წევრებს ძალიან უხაროდათ. დედ-მამა უფრო ამაყები იყვნენ. ჯარისკაცის მამად, ჯარისკაცის დედად ყოფნა მათთვის სიხარულის მომტანი იყო. ყველა ჩვენ გვილოცავდა, რადგან ჩვენი ოჯახის შვილიც წმინდა მამულის დაცვაში ჩადგება.



სამშობლო განუყოფელია.
მიწიდან წილი არ გაიცემა.

ჩვენ, სამშობლო საკუთარ სიცოცხლეზე მეტად რომ უყვარდათ, იმ თავდადებულთა ხსოვნას მუდამ წმინდად ვინახავთ.

1) ვისზე ითქმის მტერი?
2) ვისგან ვსწავლობთ სამშობლოს სიყვარულს?
3) დაწერე ესე «ჩემი სამშობლო».

თემა 25

ჩვენი სახელმწიფო და სახელწიფო ატრიბუტები

ჩვენი სახელმწიფოს სახელი აზერბაიჯანის რესპუბლიკაა. სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი მისი ატრიბუტებია. გარდა ამისა, სახელმწიფოს ნიშნებიც აქვს. ჩვენს აზერბაიჯანს პრეზიდენტი, არმია, ეროვნული ფული, დედაქალაქი გააჩნია. ყოველივე ეს სახელმწიფოს ნიშნებია.

სახელმწიფო თავისთავად არ წარმოიქმნება. მის შესაქმნელად ზოგჯერ ბევრი წლის განმავლობაში ბრძოლაა საჭირო. აზერბაიჯანის რესპუბლიკა შეიქმნა 1918 წლის 28 მაისს. ამის გამოა, რომ ჩვენ ყოველი წლის 28 მაისს რესპუბლიკის დღეს აღვნიშნავთ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ჩვენ ვამაყობთ, რომ დამოუკიდებელი სახელწიფოს მოქალაქეები ვართ. მისი, როგორც საკუთარი სიცოცხლის დაცვა თითოეული ჩვენგანის ვალია.

ქვეყანამ იცის, რომ შენ ჩემი ხარ,
მამული, კერა, ჩემი მხარე ხარ.
დედა ხარ და ხარ სამშობლო ჩემი,
რამ დააშოროს სული გულიდან,
აზერბაიჯან, აზერბაიჯან!

სამედ ვურღუნი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლე

რომელია სახელმწიფოს ნიშნები?

თემა 25

ილჰამ ალიევი ჩვენი პრეზიდენტი, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურია. ის ხალხის მიერაა არჩეული.

კანონებს ეროვნული მეჯლისი იღებს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სადარაჯოზე ჩვენი შეიარაღებული ძალები დგას.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქია ბაქო. ჩვენი სახელმწიფო ენა აზერბაიჯანული ენაა.

საქართველო
რუსეთი
ირანი
სომხეთი
ეროვნული
ბელაქანი
ზაქათალა
კახი
ყახი
აქსტაფა
თოვუზი
შექი
ოღუზი
გაბალა
ბაზმაზი
გუსარი
გუბა
შაბრანი
სიაზანი
მინგეჩაური
ისმაილლი
ხიზი
სუმგაითი
ბაქო
ბინაგადი
ზაბრატი
ნეფტჩალა
ბალაქანი
ზაგათალა
ბაკიხანოვი
ბაკო
ბინაგადი
ბაბაიანი
ბალაქანი
ბაბაიანი
ბაბაიანი
ბაბაი

თემა 26

სახელმწიფო ატრიბუტების დაცვა, მათი სიყვარული აზერბაიჯანის თითოეული მოქალაქის ვალია.

არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის ათასობით თანამემამულემ სიცოცხლე გასწირა, მსხვერპლი გაიღო. ამ წმინდა გზაზე არიან ისეთებიც, რომლებმაც ჯანმრთელობა დაკარგა, დაინვალიდდნენ. ყოველთვის მაღლა უნდა გვეჭიროს ჩვენი სიამაყის წყარო-სახელმწიფო ატრიბუტები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული მეჯლისი



რისთვის ითვლება წმინდად ჩვენი სახელმწიფო ატრიბუტები?

აზერბაიჯანის სახელმწიფო გერბის სიმბოლოები



აღმოსავლური ფარი



აზერბაიჯანის დროშის სამი ფერი

რვაქიმიანი თეთრი ვარსკვლავი



მწვანე მუხის ტოტები და ოქროსფერი მუხის რკოები

წითელი ალი

ყვითელი თავთავი

აზერბაიჯანის სახელმწიფო მშვიდობისმოყვარე, ხალხი კი სიწყნარისა და მშვიდობიანი ცხოვრების მომხრეა.

1) რომელი გამოსახულება არის ჩვენს დროშასა და გერბზე?
2) რომელი სიმბოლოებია ჩვენს გერბზე?
3) აზერბაიჯანის სახელმწიფო გერბი შენთვის სასურველი ხერხით გამოსახე.

რა შევისწავლეთ ჩვენ?

ჩვენ უკვე გავიგეთ ბუნებრივი მოვლენების არსი, ცოცხალი არსებების განსხვავება შეგვიძლია. ვაცნობიერებთ, რომ სახელმწიფო ატრიბუტებს მოწიწებით, რელიგიებს პატივისცემით მოვეპყროთ.

სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ წყაროებსა და ობიექტებს ვიცნობთ. ფულისა და დროის ეკონომიურად, რაციონალურად გამოყენების სარგებლიანობა ვიცით.

ჩვენი ჯანმრთელად ყოფნის, განათლების მიღების უფლებას, გარემოს დაცვის მოვალეობას ვაცნობიერებთ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჩვენ მოსწავლეები ვართ

ოჯახში და სკოლაში

თემა 1. ისევ სკოლაში 6
თემა 2. გზაზე და ტრანსპორტში 8
თემა 3. ოჯახში 10
თემა 4. ქცევის კულტურა 12
თემა 5. დღის რეჟიმი 14

ჯანმრთელი ცხოვრება

თემა 6. რა არის ჯანმრთელობა? 16
თემა 7. ჯანმრთელად ყოფნის გზები 18
თემა 8. როგორ უნდა დავიცვათ თავი გადამდები დაავადებებისაგან? 20
თემა 9. საფრთხეებისაგან თავის დაცვა ყველას უნდა შეეძლოს. 22

ჩვენ ბუნების შვილები ვართ

რა არის ბუნება?

თემა 10. დედამიწა 26
თემა 11. მზე, ჰაერი, წყალი, მიწა 28
თემა 12. მცენარეები და ცხოველები 32
თემა 13. ქალაქსა და სოფელში 34

ბუნებრივი მოვლენები

თემა 14. ტემპერატურა და მისი გაზომვა 38
თემა 15. წყლის ბრუნვა ბუნებაში 40
თემა 16. წელიწადის დროები 42
თემა 17. როგორ იცვლება დედამიწის ზედაპირი? 44

ჩვენ მოქალაქეები ვართ

ადამიანებს შორის

თემა 18. ძალა ერთობაშია 48
თემა 19. ჩვენი უფლებები დაცულია 50
თემა 20. მორალური თვისებები 52

სულიერი და მატერიალური ღირებულებები

თემა 21. რელიგიები 56
თემა 22. ჩვენი მოთხოვნილებები 58
თემა 23. ეკონომია და გაფლანგვა 62

ჩვენი სამშობლო

თემა 24. სამშობლო დედაა 64
თემა 25. ჩვენი სახელმწიფო და სახელმწიფო ატრიბუტები 66

HƏYAT BİLGİSİ

Ümumtəhsil məktəblərinin 2-ci sinfi üçün
«Həyat bilgisi» fənni üzrə dərslik
Gürcü dilində

Bakı, «Aspoliqraf», 2016.

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:	**Aybəniz Paşa qızı İbrahimova**
	Gülər Ələkbər qızı Mehdiyeva
	Samədddin Həsən oğlu İbrahimov
Tərcüməçi	**Çalabi Abdurahmanov**
Bədii və texniki redaktoru	**Abdulla Ələkbərov**
Rəssamı	**Gündüz Ağayev**
Kompüter tərtibatçısı	**Təhmasib Mehdiyev**

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin
19.06.2009-cu il tarixli 734№-li
əmri ilə təsdiq edilmişdir.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2016

Kağız formatı 57x82 1/8. Fiziki çap vərəqi 9,0.
Səhifə sayı 72. Uçot nəşr vərəqi 7,6.
Sifariş 55. Tiraj 200. Pulsuz.

«Aspoliqraf LTD» MMC-nin mətbəəsində çap olunmuşdur.
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 121[B]

PULSUZ